დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 2023 წლის 23 და 24 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი : 24 მარტი 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 405119394

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყიფშიძის ქ., N 7გ, საოფისე ფართი N7
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N39
საფოსტო ინდექსი	0186
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://progress.edu.ge/ka
დაწესებულების ელ-ფოსტა	americanschoolprogress@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599908041
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ჩიკვაშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599908041
ელ-ფოსტა	nina.chikvashvili@schoolprogress.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01/02/2023 MES 6 23 0000109880 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 23, 24 თებერვალი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი	*1.1.*	*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.6.*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამებ*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.1. ა	სკოლამ განაახლოს უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
	2.1. გ	მოეწყოს სპორტული დარბაზების გასახდელები, როგორც ვაჟებისთვის, ისე გოგონებისთვის.
	2.2.	მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით გაზარდოს სველი წერტილების რაოდენობა და კეთილმოწყობის ხარისხი.
	2.6. ე	სკოლამ ცენტრალურ შემოსასვლელში, რომელიც მდებარეობს ქუჩის მხარეს, ჯვარედინი ხედვის უზრუნველსაყოფად დაამონტაჟოს დამატებით ერთი ვიდეო კამერა .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის საგრანტო სისტემა და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა. ➢ სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ხშირად აცხადებს სხვადასხვა სახის კონკურსებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს სთავაზობს დაფინანსების სხვადასხვა პაკეტებს, რაც მამოტივირებელია მოსწავლეებისათვის. ➢ ასევე სკოლის „360 გრადუსიანი შეფასების“ საფუძველზე ყოველწლიურად ხდება საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა. მათ სკოლა სთავაზობს: დაწინაურებას; ხელფასის მატებას; ერთჯერად წახალისებას; ➢ სკოლა აქტიურად მართავს რეგიონალურ კონკურსებს და ჩართულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის პროცესში.

დაწესებულების მისია	ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მისიაა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოზარდს ჩამოუყალიბოს ისეთი კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედეგადაც შეძლებს მუდმივად ცვალებად და განვითარებად სამყაროში ადაპტირებას.

VIII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და არსებული შეუსაბამობები გამოსწორდა და სკოლამ წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტები წინა ვიზიტის პერიოდშივე.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი წარმოადგენს ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მიზანია აღზარდოს პროგრესულად მოაზროვნე ლიდერთა თაობა, რომელიც ისწრაფვის უწყვეტი განათლებისკენ, პროგრესისა და უკეთესი მომავლისკენ ჩვენს სწრაფად ცვალებად მსოფლიოში. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი (შემდგომში „სკოლა“) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. 2019 წლის 18 ივლისს ჩრდილოეთ ცენტრალური ასოციაციის კომისიამ NCA CASI), ჩრდილო-დასავლური აკრედიტაციის კომისიამ (NWAC) და სკოლებისა და კოლეჯების კომისიის ასოციაციამ (SACS CASI) (ამჟამად, წოდებული როგორც Cognia Accreditation), სკოლას მიანიჭა ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტაცია. ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პოგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2022 წლის 11 მაისს შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენს ერთიან დოკუმენტს, სადაც თითოეული შემადგენელი ნაწილი მკაფიოდ და გარკვევითაა გაწერილი, სარჩევის, სათაურების, ქვეთავებისა და დანომრილი გვერდების მიხედვით, მარტივია დოკუმენტში ნავიგაცია და სასწავლო გეგმის თავისებურებებში გარკვევა. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • სკოლის მისია და ამოცანები; • სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო განრიგი; • 2022–2023 სასწავლო წლის კალენდარი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • 2022–2023 სასწავლო წლისათვის სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა; • ინკლუზიური განათლება; • შეფასება და გაცდენები; • შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა პროგრამისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები; • სადამრიგებლო პროგრამა; • შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები; • გარდამავალი დებულებანი. სასკოლო სასწავლო გეგმას შეიმუშავებს სკოლის დირექტორი აკადემიურ დირექტორთან ერთად. სასკოლო სასწავლო გეგმა თანხმდება სკოლის მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციასთან, რასაც, საბოლოოდ, ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას წარმოდგენილი აქვს სწავლების თითოეული საფეხურის მისიაც. შპს ამერიკულ უმაღლეს საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე სამ საფეხურად: • დაწყებით (I-VI კლასები), • საბაზო (VII-IX კლასები), • საშუალო (X-XII კლასები). ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტირებულ პროგრამებზე სწავლა მიმიდნარეობს ინგლისურ ენაზე. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები, არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია, გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასებისა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ექნებათ ექვსდღიანი სასწავლო კვირა. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთი III – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი; მოსწავლეთა კვირეული დატვირთვა აღემატება ესგ-ით განსაზღვრულ შესაბამისი კლასის სარეკომენდაციო კვირეულ საათობრივ დატვირთვას. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 10 წთ, დანარჩენი შესვენებები 5 წუთიანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022-2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2022 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2023 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა; თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგი, დანართის სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება 6 საგნობრივ ჯგუფში: 1. ქართული ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები; 2. მათემატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ჭადრაკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და STEAM მასწავლებლები; 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ბიზნეს-უნარების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ; 5. უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური, გერმანული, ესპანური და რუსული ენების მასწავლებლები; 6. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის, I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. სსგ-ში წარმოდგენილია კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციები, კათედრის მუშაობის მახასიათებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში კათედრების საქმიანობის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტია შპს ამერიკულ უმაღლეს საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის კეთდერების დებულება. კათედრის მიზნები და ამოცანებია: • სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა; • სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ეფექტურად შერჩევა; • დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება; • პედაგოგთა სასწავლო პროგრამის შეასაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან; • პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება; • პედაგოგთა პროფესიული განვითარება; • პედაგოგთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია 2022–2023 სასწავლო წლისათვის სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის წიგნების ჩამონათვალი. სკოლის მისია განსაზღვრავს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ საგანმანათლებლო კონცეფციას, როგორიცაა წიგნიერება, ინფორმირებულობა, პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება, ცვალებად გარემოში ადაპტირება. შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის კეთედრების დებულება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის MES 1 22 0001289543 - 13/10/2022 კორესპონდენცია; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში ირიცხება - 355 მოსწავლე. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ქართული ატესტატთან ერთად მიიღონ ამერიკული სკოლის დიპლომი. ქართულენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. სკოლა მისიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მიზნად ისახავს მოსწავლის ენობრივი ცნობიერების გამდიდრებას, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ენების მრავალფეროვან არჩევანს, ზრდის უცხოურ ენაში მოსწავლის კვირეულ დატვირთვას და სთავაზობს ენების სწავლების განსხვავებულ მოდელს. სკოლაში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შეისწავლონ 3 უცხოური ენა. პირველი უცხოური ენაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინგლისური ისწავლება პირველი კლასიდან კვირაში 5 საათიანი დატვირთვით. ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების მიზნები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანებისაგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული ენისფლობის B1და B2 (ზღვრული განვითარებული) დონის დაძლევა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (PET, TOEFL, IELTS, FCE) მოპოვება. სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ქართული ატესტატის გვერდით მოიპოვონ ამერიკული საშუალო სკოლის დიპლომი. მეორე უცხოური ენის სტატუსი (მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესაბამისად) მინიჭებული აქვთ გერმანულ, რუსულ, ესპანურ ენებს და მათი შესწავლა მესამე კლასიდან იწყება კვირაში 2 საათიანი დატვირთვით. მესამე უცხოური ენის სახით სკოლა სთავაზობს გერმანულ, რუსულ, ესპანურ ენებს არჩევითი საგნების ფარგლებში. სკოლაში საათობრივი დატვირთვა კლასების მიხედვით ესგ-ის საათობრივი ბადისგან განსხვავებულია, მაგალითად: • ჭადრაკი ისწავლება I- IV კლასებში კვირაში 1 სთ; • სპორტში სკოლას შემცირებული აქვს საათობრივი დატვირთვა. I- IV კლასებში დამატებულია საგანი ცეკვა, რომლის პროგრამაც ფარავს სპორტის საგნობრივ სტანდარტს. • მე და საზოგადოებაში III-IV კლასებში შემცირებულია დატვირთვა 1 საათამდე. ამ პროგრამის განსახილველი თემები და საკითხები გათვალისწინებულია სადამრიგებლო საათზე. • საგანი სამოქალაქო განათლება დამატებულია VI კლასში, VIII კლასში გაზრდილია 1 საათით. • ქართული ენისა და ლიტერატურის საათობრივი დატვირთვა XII კლასში 8 საათია. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი სავალდებულო საგნების სწავლებას, როგორიცაა: • ბუნებისმეტყველება/Science - IV-VII კლასი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წიგნიერება - I-IV კლასი; • ინგლისური ენის ხელოვნება - I-IX; • მათემატიკური ლოგიკა -V-VIII კლასი; • STEM- V-VI კლასი; • ცეკვა- I- IV კლასი; • ბიზნეს-უნარები - I-VII კლასი; • ლიდერობა- IX-X კლასი; • აკადემიური წერა- IX-X-XI კლასი; • დამრიგებლის საათი I-VI კლასები. საგნობრივი პროგრამების კურიკულუმები გაწერილია დეტალურად ესგ-ის შესაბამისად. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასევე არასავალდებულო მომსახურებას X-XI-XII კლასებში შემდეგ პროგრამებში: ლიდერობა, აკადემიური წერა, მათემატიკური უნარები, ისტორია აბიტური, ბიოლოგია აბიტური, ფიზიკა აბიტური, ქიმია აბიტური, მათემატიკა აბიტური. <u>სკოლას მიეცა რჩევა არასწორი ინტერპრეტირების თავიდან აცილების მიზნით აბიტურის საათი შეცვალოს ფაკულტატური საათით.</u> შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნილია განაყოფები: • ინგლისურ ენაში ყველა კლასში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 14-ს. • მეორე უცხოურ (რუსული, გერმანული, ესპანური) ენაში - III-XI კლასებში მოსწავლეების არჩევანის შესაბამისად. • ინგლისურენოვან პროგრამებში განაყოფებია წარმოდგენილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე მათემატიკაში. კათედრების მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთ-თანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა.შ. სკოლამ ასევე წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების დეტალურად დაგეგმილი პაკეტები სხვადასხვა კლასებისა და საგნების მიხედვით. კურიკულუმები სწავლების 5 ძირითად პრინციპზეა აგებული. მოცემულ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა მიმართავს კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ, კვლევით პროცესებს, რათა სიღრმისეულად მოხდეს თითოეული მოსწავლის თავისებურების განსაზღვრა და მისთვის საჭირო ხელშემწყობი გარემოს ფორმირება. სადამრიგებლო პროგრამების შინაარსი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, ინტერკულტურული გარემოსა და ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებაზე. სადამრიგებლო საათების თემები ეროვნული სასწავლო გეგმის 6 მიმართულებას ითვალისწინებს. დამრიგებლების ანგარიშებში და მოსწავლეთა ინტერვიუირებისას იკვეთება, რომ კლასებში ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები ექვსივე მიმართულებით. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N1/21 ბრძანებით); • შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო სააათობრივი ბადე; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი Edupage.org; • შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის კეთედრების დებულება; • კეთედრების ელექტრონული პორტფოლიოები თემატური გეგმებითა და კურიკულუმებით, კომპლექსური დავალებებით; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირების, თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. სკოლისთვის უმნიშვნელოვანესია ინკლუზიური განათლება. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე გაწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლის ამერიკულ პროგრამებზე სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქე, სხვადასხვა ეროვნების, აღმსარებლობის, კულტურის მქონე მოსწავლეები, რომელთაგან ბევრმა არ იცის ქართული ენა, ზოგჯერ ინგლისურიც, ან სხვა რომელიმე საკომუნიკაციო ენა. სკოლა ცდილობს იყოს ორიენტირებული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს. მოსწავლის მხარდაჭრის ჯგუფში აუცილებლად უნდა შედიოდნენ: • ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი; • ექიმი; • საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები; • კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის პირი; ასევე, საჭიროების მიხედვით, შედიან კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლები, დამრიგებელი, ფსიქოლოგი, მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯგუფის სამოქმედო სტრატეგიაა: • პრობლემის იდენტიფიცირება • პრობლემის ანალიზი • საჭიროებების დადგენა • სამოქმედო გეგმის შედგენა ვიზიტისას შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მიმდინარე სასწავლო წელს გადმოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა დოკუმენტაცია. მოსწავლეს ექსტერნატის გამოცდებით ჰქონდა დაძლეული საგნები. სკოლას სრულფასოვნად ჰქონდა წარმოდგენილი მოსწავლის სწავლისა და შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N1/21 ბრძანებით); • მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021 (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 09/11/2021, N1/29 ბრძანებით); • მოსწავლის პირადი საქმე (პორტფოლიო);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების სისტემასთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ჩაშენებულია სასწავლო მეთოდებსა და აქტივობებში - გონებრივი იერიში, ვმვ დიაგრამა, ვენის დიაგრამა, გრაფიკული სქემები და კლაისფიკატორები, ღია-საკვანძო კითხვების დასმა და სხვა. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტუმენტებს - დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების სქემა, ურთიერთშეფასების კითხვარი, ჰოლისტური და ანალიტიკური რუბრიკები, ჩეკლისტები. მნიშვნელოვანია სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარები, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე ელექტრონული ჟურნალითაც ყოველდღიურ რეჟიმში. განმავითარებელი შეფასება ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, იყოს სწავლისთვის შინაგანად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოტივირებული, მასწავლებელთან ერთად ან დამოუკიდებლად დასახოს დასწავლის უკეთესი და მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული სტრატეგიები. წელიწადში ორჯერ (დეკემბერსა და აპრილში) სკოლა I-XII კლასებში ატარებს დიაგნოსტიკურ წერებს, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების გაზომვა და საჭიროებების განსაზღვრა. წერა შესაძლოა ჩატარდეს რომელიმე ერთ საგანში ან ინტეგრირებულად კათედრის მიხედვით. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ინტეგრირებული დავალებების მომზადება ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ან საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიზნეს-უნარები. განმსაზღვრელი შეფასებისას სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილ კომპონენტებს: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. დავალების ტიპები: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, ესე, ცდის ჩატარება, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ. საგნობრივი კათედრები განიხილავენ დავალების ტიპებს, რომელიც ასახულია როგორც კათედრის, ასევე მასწავლებლის სამუშაო გეგმაში. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის შემაჯამებელი სამუშაოები შესაბამისი ანალიზის ფორმებითა და ინტერვენციებით. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, რომლის შედგენაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი და საგნის მასწავლებელი, რომელიც წინასწარ ეცნობება მოსწავლეს. სკოლის მიერ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. ასევე მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები V-XII კლასებში ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებსა და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება ხორციელდება ჩათვლის სისტემით ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა და არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. მოსწავლის გაცდენები, განმავითარებელი კომენტარები და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები აღირიცხება მოსწავლეთა საკლასო ელექტრონულ ჟურნალში EDUPAGE გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თუ მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა; • ექსტერნატის გამოცდა; ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს; მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს; განსხვავებულია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შეფასების წესი: ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში შეფასების მეთოდები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების წარმოჩენა, დემონსტრირება. შეფასების კომპონენტები ითვალისწინებს Common Core და Next Generation სტანდარტების მოთხოვნებს. გაწერილია შეფსების რუბრიკები, საგნების კლასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომპონენტების მიხედვით, თითოეული ქულის შესაბამისი განმარტებებით. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასებში სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასებში მოსწავლე ფასდება სკოლის მიერ შემუშავებული 100 ქულიანი შეფასების სისტემით, რომელიც აგებულია ამერიკული განათლების სისტემის საფუძველზე. დადებითი შეფასებები: (A/ A-) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 90% და მეტი; (B+/B /B-) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 80-89%; (C+/C /C-) კარგი - მაქსიმალური შეფასების 70-79%; (D+/D /D-) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 60-69%; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-59%; უარყოფითი შეფასებები: (F) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 0-50%, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეს პროგრამის ასათვისებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებითი მუშაობით სავარჯიშოები და პროექტები პროგრამის დასაძლევად. დიფერენცირებული — ანბანური შეფასება A-F ქულები გამოიყენება საგნის აკადემიური მოსწრების შესაფასებლად. A-F ქულები გამოიყენება GPA– ს დაანგარიშებისას. არადიფერენცირებული - ჩათვლა/ჩაჭრა - Pass / No Pass შეფასება გამოიყენება შემდეგ საგნებში: • ხელოვნება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მუსიკა; • სპორტი; • ქართული ენა და ლიტერატურა. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა კომპონენტით: • მიმდინარე საკლასო სამუშაო, • საშინაო დავალება, • შუალედური წერები/გამოკითხვები • ფინალური წერები/გამოკითხვები, თითოეული კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია ჩატარდეს: ესსე, თემის შემაჯამებელი, საშინაო დავალების გამოსაკითხი ტესტი, შემაჯამებელი ესსე, კომპლექსური დავალება-პროექტი, ლაბორატორიული სამუშაო. თითოეულ კომპონენტში მიღებული ქულა შედის მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებაში. ამ კომპონენტების შესაბამისი რუბრიკები თან ერთვის სასკოლო შეფასების დოკუმენტს. შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს, გარდა ფინალური წერისა/გამოკითხვისა. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში ერთხელ ტარდება შუალედური წერები/გამოკითხვები. მოსწავლეები წლის განმავლობაში აბარებენ Measure of Academic Progress (MAP - აკადემიური პროგრესის გაზომვა) ტესტირებებს ინგლისურ ენასა (კითხვა და გრამატიკა) და მათემატიკაში. MAP ტესტირება ტარდება ელექტრონულად. გამოცდების დასრულების შემდეგ, სკოლა იღებს თითოეული მოსწავლის უნარების და ცოდნის დამადასტურებელ სრულფასოვან შეფასებას Common Core სტანდარტებთან მიმართებაში. სკოლას წვდომა აქვს მსოფლიოში დადგენილ სტანდარტებზე, რაც სწავლის შედეგების გაანალიზების საშუალებას იძლევა. შედეგების განხილვა ხდება სკოლის აკადემიური პერსონალის შეხვედრებზე (კათედრები და ადმინისტრაცია). შედეგებიდან გამომდინარე ხდება თითოეული მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდულური საჭიროებების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში გეგმის შედგენა. დიაგნოსტიკურ წერაში მიღებული შეფასება გავლენას არ ახდენს მოსწავლის სემესტულ ან/და წლიურ ქულაზე. ყველა საგნის უმაღლესი ქულა არის -100. მოსწავლეს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ სემესტრის მანძილზე 51 ქულა მაინც დააგროვა. მოსწავლეთა შეფასების - ნიშნების კონვერტირება ხდება შესაბამისი წესით, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშება ხდება შემდეგი სქემით: სემესტრის განმავლობაში მიღებული ნიშნების (საკლასო, საშინაო, შუალედური წერები/გამოკითხვები) ჯამს (70%) + ფინალური გამოცდის ნიშანი (30 %) = სემესტრულ ქულას. სემესტრის ბოლოს, მოსწავლის ქულების მიხედვით შედგება მისი ნიშნების ფურცელი (Report Card). ორი სემესტრის ქულის საშუალოთი კი გამოითვლება მოსწავლის საბოლოო ქულა თითოეულ საგანში, რაც აისახება საბოლოო ტრანსკრიპტში. ტრანსკრიპტში მოცემულია მოსწავლის GPA (Grade Point Average - საშუალო აკადემიური შეფასება), რომელიც 4.0 ბალიანი სკალით გამოითვლება და ეფუძნება მოსწავლის მიერ ამერიკულ სკოლაში სწავლების პერიოდში მიღებულ ყველა საბოლოო ქულას. განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოსწავლეებს წლის მანძილზე ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, მასწავლებლების კომენტარები. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ ჟურნალში ადმინისტრატორის ველს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ტიპებსა და ანალიზს. სკოლაში დანერგილია შეფასებების საკლასო ოთახებში ყოველთვიური გამოქვეყნების პრაქტიკა და მშობლებისთვის ინფორმაციის ინტერნეტით ან დამრიგებლის მიერ მიწოდება. შესწავლილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების შედეგით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N1/21 ბრძანებით); • სკოლის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • კათედრების პორტფოლიოები, სამუშაო გეგმები, ოქმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთერთი ამოცანაა მშობელთა ჩართულობის გაძლიერება. სკოლაში შექმნილია მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA). შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას წარმოადგენს მშობელთა და სკოლის მასწავლებელთა ინტერესებს; მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების შესაძლებლობის გაზრდას; ასოციაცია დისკრიმინაციის გარეშე ღიაა სკოლის ყველა მოსწავლის მშობელისა და სკოლის ყველა მასწავლებლისთვის; წევრების შერჩევა ხდება არჩევნების გზით, დემოკრატიული პრინციპებით. მშობელი აირჩევა საფეხურის მიხედვით, თითოეულ საფეხურზე 2, ჯამში სამივე საფეხურიდან 6 მშობელი; ასოციაცია ირჩევს პრეზიდენტს და მდივანს 3 წლის ვადით. საკითხის გადაწყვეტისას მშობლებსა და მასწავლებლებს გააჩნიათ თანაბარი ხმის უფლება; მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის უფლებამოსილებები, მოვალეობები, კომიტეტები და ასოციაციის პრიორიტეტები დეტალურად წარმოდგენილია ასოციაციის დებულებაში. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება. დებულებაში წარმდგენილია მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა, მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულო მისაწოდებელი ინფორმაცია, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთა კითხვარი. მშობელთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს დამრიგებელი. დამრიგებელი აცნობს მშობელს შვილის ყოფაქცევის და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც. მშობელი ინფორმაციის გაცნობას ხელმოწერით აფიქსირებს. სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლის და მისი მშობლის აწვდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინფორმაციას მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგის შესახებ; თუ მშობელი ვერ მოდის სკოლაში, დამრიგებელი ვალდებულია სატელეფონო ზარით შეატყობინოს მას მოსწავლის მოსწრებები და საჭიროებები; მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: • მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა); • ელექტრონული ჟურნალის edupage.org მეშვეობით; • მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; • ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; • სოციალური ქსელის მეშვეობით; • SMS შეტყობინების საფუძველზე; მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან სკოლის დირექტორი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს; სკოლა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის საშუალებითაც ადგენს მშობლის ინტერესის სფეროებს, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართულობის მზაობას. თავის მხრივ მშობელი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. შეასრულოს სკოლის შინაგანაწესითა და სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. მშობელი უფლებამოსილია მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება, მიიღოს ინფორმაცია სკოლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის სწავლა-განათლებასთან. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებიდან დაკავშირებით. მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანონიერ მოთხოვნებს და რთავს მოსწავლეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ. მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით). სკოლა მშობლებს სთავაზობს გამოკითხვის ფორმებს, რათა გაითვალისწინოს მათი აზრი და მოთხოვნები. გამოკითხვის დროს მშობლებმა პოზიტიურად შეაფასეს სასკოლო გარემო, კლ. დამრიგებლების მუშაობა, მასწავლებლების დამოკიდებულება და კომპეტენცია. მშობელთა ინფორმირებისთვის სკოლა ასევე აქტიურად იყენებს ვებ-გვერდს: www.schoolprogress.ge, სადაც ქვეყნდება სიახლეები სასკოლო ცხოვრების შესახებ. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და ამავდროულად მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N1/21 ბრძანებით); • მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021 (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 09/11/2021, N1/29 ბრძანებით); • მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-38 15/11/2021); • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023); • სკოლის ვებ-გვერდი: www.schoolprogress.ge; • Edupage; • მშობელის ხელშეკრულება; • მშობლებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი მისიის და მიზნების რეალიზაციის, ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ახორციელებს საქმიანობის სისტემატურ შეფასებას. სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია კონტროლის პროცესს ანხორციელებს სამი მიმართულებით: 1. მონიტორინგი - წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზს და შემოწმებას. 2. შეფასება – მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი. 3. შემოწმება – მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევების განხილვა. მასწავლებლების მუშაობის შემოწმება მოხდება შემდეგი მეთოდებით: • გაკვეთილის დაგეგმვის შემოწმება; • თემატური გეგმების შემოწმება; • გაკვეთილზე დასწრება; • სემესტრული და წლიური ანგარიშები, საგნის დინამიკის მონაცემებით; • ელ. ჟურნალის წარმოება, შედეგების ანალიზი; • პედაგოგის პორტფოლიო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პედაგოგის პორტფოლიო უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: • საგნობრივი პროგრამა; • შეფასების კრიტერიუმები კომპონენტების მიხედვით; • წლიური ანგარიში; • დაგეგმილი გაკვეთილები • წერითი სამუშაოების ანალიზი და სავარაუდო გრაფიკი; • ჩატარებული ღია გაკვეთილის (ღონისძიებების) მასალები (ფოტო, ვიდეო, პროექტები, სცენარები და სხვა). • მოსწავლეთა საინტერესო ნამუშევრები. კათედრის ხელმძღვანელები კათედრის პორტფოლიოში წარმოდგენენ შემდეგ დოკუმენტაციას: • წლიური სამუშაო გეგმა; • ჩატარებული სხდომის ოქმები; • სემესტრული და წლიური ანგარიშები; • ოლიმპიადების, კონფერენციების, პროექტთა ჩატარების გეგმა და ანგარიში; • ჩატარებული ღონისძიებების მასალები. სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი სახის დოკუმენტაციის ანალიზით: • სადამრიგებლო პროგრამა; • კლასის დამრიგებელთა სემესტრული და წლიური ანგარიში; • მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და დისციპლინის მდგომარეობა; • სხვადასხვა სახის აღმზრდელობით ღონისძიებების აღნუსხვა; • სადამრიგებლო პორტფოლიოს წარმოება. გარდა ამისა, სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით განხორციელდება მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის სხვადასხვა ფორმები: • მასწავლებლის შეფასების კითხვარი; • პროგრესის მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარი; • კათედრის ხელმძღვანელთა შეფასების ფორმა; • არაფორმალური მიმართულების შეფასების ფორმა; • დამრიგებელთა შეფასების ფორმა; • დირექცია_აკადემიური მენეჯმენტის შეფასების ფორმა. გამოკითხვის ფორმები შექმნილია Google Drive Forms-ზე, იძლევა შედეგების ავტომატიზირებულად დათვლის საშუალებას. განხორციელებული გამოკითხვების შედეგები ასახულია სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერის ანგარიშში. მონიტორინგის ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე, აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. მონიტორინგის შედეგების ანალიზის უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზით ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრა გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. მოცემული მონაცემების გათვალისწინებით ხდება ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველოყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც დანართის სახით ერთვის დოკუმენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი (დამტკ. სკოლის დირექტორის 2021 წლის 15 ნოემბრის N1/39 ბრძანებით); • გამოკითხვის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	<u>სკოლას მიეცა რჩევა არასწორი ინტერპრეტირების თავიდან აცილების მიზნით აბიტურის საათი შეცვალოს ფაკულტატური საათით.</u>
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1122 კვ.მ. მიწის ფართი; 2052.30 კვ.მ. შენობის ფართი
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი მდებარეობს ქ. თბილისში. სკოლა საიჯარო ხელშეკრულებით **<u>2026 წლამდე ვადით</u>** ფლობს 1122 კვ.მ. მიწის ფართზე მდებარე , 2052.30 კვ.მ. შენობას. სკოლას ვიზიტის პერიოდში საჯარო რეესტრში გაკეთებული ჰქონდა განაცხადი (NW 22288238) იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით უძრავ ნივთზე. ვიზუალური დათვალიერებით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება , რომ სკოლა განთავსებულია ოთხსართულიან შენობაში, განაშენიანების ფართი არის 601.5კვ.მ. შენობაში სართულების მიხედვით განთავსებულია: პირველ სართულზე (545.88 კვ.მ) - ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ფსიქოლოგის ოთახი, სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართულზე (543.88 კვ.მ) - ადმინისტრაციის ოთახი, 7 საკლასო ოთახი, სველი წერტილები. მესამე სართულზე (544.13 კვ.მ) - კომპიტერული ლაბორატორია, არტ- სახელოსნო, სამასწავლებლო, 8 საკლასო ოთახი, სველი წერტილები. მეოთხე სართულზე (542.61 კვ.მ) - საბუნებისმეტყველო და STEM ლაბორატორია, 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები. <u>სკოლას სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიეცა რეკომენდაცია განაახლოს უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N39
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.14.05.005.068
კვ.მ.	1122 კვ.მ. მიწის ფართი, 2052.30 კვ.მ. შენობის ფართი
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობა-ნაგებობის პასპორტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია თეთრი დაფებით(25 ერთეული); მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით; მონიტორ/ტელევიზორებით (18 ცალი) ; ინტელექტუალური დაფებით (3 ცალი); სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით (პლაკატები, ქიმიური ტაბულები, სქემები...) საკლასო ოთახებში განლაგებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მერხები (მერხი სკამით 470, დამატებით დასაწყობებულია 33 ერთეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო მერხების ფლობის დოკუმენტები: • სასაქონლო ზედნადებები; • საგადასახადო გადარიცხვის ქვითრებით და მიღება-ჩაბარების აქტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ეზოში აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი (200 კვ.მ) ხელოვნური საფარით. სპორტული აქტივობებისთვის შეძენილი აქვს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადეები, ჰულაჰუპები და სხვ. სკოლის პირველ სართულზე არის 68.90 კვ.მ ფართობის სპორტული დარბაზი. სპორტულ მოედანზე შესაძლებელია კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის თამაში (დამონტაჟებულია შესაბამისი ინვენტარი). სპორტულ დარბაზს არ აქვს გასახდელები. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლამ მიიღო რეკომენდაცია, მოაწყოს სპორტული გასახდელები , როგორც ვაჟებისთვის , ისე გოგონებისთვის. სკოლაში ხშირად ეწყობა როგორც შიდასასკოლო, ისე ამხანაგური სპორტული შეჯიბრებები და მხიარული სტარტები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი (საბუნებისმეტყველო და STEM ლაბორატორია). კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ლაბორატორიას აქვს ბუნებრივი განათების/განიავების საშუალება, დამონტაჟებულია გამწოვი, არის სველი წერტილები ნიჟარით. ლაბორატორიების კარადებში განთავსებულია საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განკუთვნილი ნივთები, მულაჟები. რეაქტივებისათვის დგას სპეციალური კარადა (საცავი). ლაბორატორიების აღჭურვილობა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანების მოთხოვნებს. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განკუთვნილია მოსწავლეების და პედაგოგებისთვის. ლაბორატორიებში მუშაობა შესაძლებელია როგორც MS Windows, ასევე iOS ოპერაციულ სისტემასთან. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სამაგიდე კომპიუტერებით (Desktop Computers). ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. ლაბორატორიაში იყენებენ პრინტერს, სკანერს, ვებკამერას, ყურსასმენებს, დოკუმენტ კამერას, პროექტორს და სხვა ტექნოლოგიებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით და ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობით. შენობის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, შესაძლებელია განიავება. სკოლაში მოწყობილია 16 სველი წერტილი (6 ვაჟებისთვის, 7 გოგონებისთვის, 2 მასწავლებლებისთვის და 1 შშმ პირისთვის). სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით გაზარდოს სველი წერტილების რაოდენობა და კეთილმოწყობის ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გათბობის ქვაბის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; კომუნალური გადახდის ქვითრები: • ელექტროენერგია (TELMICO, აბონენტი N5296306); • წყალი (შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი, აბონენტი N755573976); • ბუნებრივი აირი (შპს თბილისი ენერჯი, აბონენტი N479887366); • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა განლაგებულია პირველ სართულზე , ღია სივრცეში. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილი, სამკითხველო მაგიდა სკამებით. ბიბლიოთეკას სკოლა პერიოდულად იყენებს როგორც საკონფერენციო სივრცეს. ბიბლიოთეკაში მოცემულია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები. ციფრულ რესურსებზე წვდომა მომხმარებლებს სკოლის გარეთაც აქვთ. თაროებზე თემატურად დალაგებულია პერიოდიკა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამხმარე პროფესიული ლიტერატურა, წიგნები, მათ შორის სსგ-ით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში განლაგებულია 2156 ბეჭდური რესურსი სხვადასხვა ენაზე; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: https://www.britannica.com/ https://www.learninga-z.com/ https://www.jstor.org/ https://www.turnitin.com/ https://www.khanacademy.org/ https://fedsso.yum.com/fedApps/lz/login.html https://www.ereadingworksheets.com/ https://www.ixl.com/ ონლაინ ელექტრონული ლექსიკონები(18 ვებ-გვერდი); მასწავლებლის რესურსები; პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა https://www.duplichecker.com/, რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენასა და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსის გასარკვევად (სახელმძღვანელო თუ ნებისმიერი სხვა წიგნი) შესაძლებელია bibliocat.ge გამოყენება, რის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია წიგნის დაჯავშნა ონლაინ და გატანა ბიბლიოთეკიდან მატერიალური სახით. ბაზასთან წვდომა აქვს სკოლის ყველა მოსწავლესა და თანამშრომელს, თუ მშობელს ან სასკოლო საზოგადოების სხვა წევრს ექნება სურვილი წიგნის გამოყენების ბიბლიოთეკარს შეუძლია მისი რეგისტრაცია პირადი ნომრის გამოყენებით. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკართან დადებული ხელშკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირება; • http://bibliocat.ge/school/57/view; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • ბიბლიოთეკის დებულება (ბრძანება 1/12, 15/10/2021); • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის და დაცულია არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შესასვლელი უზრუნველყოფოლია პანდუსით. შენობის ოთხივე სართულზე ასვლა შესაძლებელი ორი მხრიდან. შენობის ორივე მხარეს არის კიბის უჯრედები, ერთ კიბეზე პირველიდან მეოთხე სართულის ჩათვლით დამონტაჟებულია მეტალის პანდუსი. პირველ სართულზე არის ადაპრირებული სველი წერტილი. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლის სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან აქვს : ➢ სკოლის ვებ–გვერდი: https://progress.edu.ge/ka ➢ ელექტრონული ფოსტა: americanschoolprogress@gmail.com; ➢ სოციალური ქსელი https://www.facebook.com/ProgressTbilisi; სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი edu page ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და ტელევიზორები. სკოლის ტერიტორია უზრუნველყოფილია უკაბელო Wi-Fi ტექნოლოგიით. სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობის სია: კომპიუტერი - 28; ლეპტოპები -26; პროექტორი - 15; ისტ ლაბორატორია- 1; STEM-ლაბორატორია -1; ტელევიზორი -13; პრინტერი -11; ვებ-კამერა -14 დოკუმენტ კამერა -2; SMART მაგიდა - 2. სკოლაში შექმნილია ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი. ჯგუფის მიერ დაგეგმილია და ნაწილობრივ განხორციელდა სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობა, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განივითარონ ციფრული წიგნიერება და შესაბამისი უნარები. სკოლის ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია სკოლის მისია, სკოლის შესახებ ინფორმაცია, სტრუქტურა, სამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სკოლის სიახლეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მომსახურების ხელშეკრულება (13.04.21) შპს ,,პროსერვისთან“ დომენის და ჰოსტის ფლობის შესახებ; • ნასყიდობის ხელშეკრულაბ ი/მ გიორგი სამხარაძესთან ელექტრონული ჟურნალის ერწლიანი ლიცენზიის შესახებ. • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები N 0422778482; 010013978; 010722075; 051507050; საგადასახადო დავალების ქვითრები N 18494; 0400;14;12; 8300; • პროექტორების შეძენის დოკუმეტები: სასაქონლო ზედნადები N 0194918495;საგადასახადო დავალების ქვითრები N 194; 0397. • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის ტერიტორიაზე არსებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია გადამუხტული ცეცხლმაქრები, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით. თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების მონაცემები. დამონტაჟებულია საავარიო გასასვლელის მინიშნებები და სახანძრო სიგნალიზაცია. საგანგებო შტაბის მიერ შემუშავებულია საგანგებო მართვის გეგმის პროექტი, რომელიც უნდა შეითანხმოს შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის საგანგებო მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის საქმიანობის საფუძველს. იგი უზრუნველყოფს, საობიექტო დონეზე, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების შესყიდვის დოკუმენტაცია; • Progress.edu.ge; • https://www.facebook.com/ProgressTbilisi ; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართულზე, გეგმაზე მითითებულ ადგილას გაკრულია საევაკუაციო გეგმა. საევაკუაციო გეგმა მომზადებულია GEOSAFETY-ის მიერ 23/12/2022წ. (https://geosafety.ge/). ვიზიტის პერიოდში საევაკუაციო გეგმაში შევიდა ცვლილება და მოვიდა შესაბამისობაში რეალურად არსებულ მოცემულობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ევაკუაციის გეგმა ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე და მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ექიმთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა, მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექიმის მიერ სპეციალურ ჟურნალში, გამოკრულია სამედიცინო აღმოჩენის მექანიზმები. ექიმის ფუნქციები გაწერილია „თანამდებობრივ ინსტრუქციებში“ (მუხლი 20). ერთ-ერთი ფუნქციაა - გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება მოსწავლეებსა და სკოლაში დასაქმებულ პირებს. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში მყოფ ნებისმიერ სხვა პირს. ექიმმა წარმოადგინა სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის ანგარიში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება ექიმთან; • სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები; • ვიზუალური დათვალიერება; • ექიმის სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის ანგარიში; • ექიმთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც გადაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (2021 წლის 3 ნოემბერს, წერილი N4/41) რომლის მიხედვითაც ხდება უსაფრთხოების წესების დაცვა. დასვენებებზე სკოლის მთელ ტერიტორიაზე (შენობასა და ეზოში) მორიგეობის განრიგის შესაბამისად მორიგეობენ მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი); • გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს კამერების რაოდენობა სულ 17 კამერა. გარე პერიმეტრი 4 ცალი (2 შემოსასვლელი, 2 ეზო), პირველ სართულზე 3 ცალი, მეორე სართული 2 ცალი, მესამე სართული 2 ცალი, მეოთხე სართული 2 ცალი, კიბის უჯრედებში 4 ცალი. სკოლას ვიზიტის პერიოდში სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, ცენტრალურ შემოსასვლელში, რომელიც მდებარეობს ქუჩის მხარეს, ჯვარედინი ხედვის უზრუნველსაყოფად დაამონტაჟოს დამატებით ერთი ვიდეო კამერა .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია: წესდება, შინაგანაწესი, აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტი, ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები, თანამშრომელთა შეფასების სისტემა, კათედრების დებულება, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და მშობელთან კომუნიკაციის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, ტექნოლოგიების განვითარების დებულება. დოკუმენტები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტებში გაწერილია გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება; • შინაგანაწესი; • საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტაცია; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრულია პრიორიტეტები: სწავლა-სწავლება; ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება; მართვის პროცესი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პარტნიორული ურთიერთობები. თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში დასახულია მისაღწევი მიზნები, შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. ერთწლიან გეგმაში დაკონკრეტებულია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. საქმიანობის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების შესაფასებლად სკოლა იყენებს SWOT მეთოდს, სადაც მოცემულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, რისკები და ჩასატარებელი ღონისძიებები. ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება; მშობელთა ჩართულობა სასწალო-აღმზრდელობით პროცესში; ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორბთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება. განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს მისიიდან და მორგებულია სკოლის საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა (ბრძანება N1/33, 09/11/2021). • 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (ბრძანება N1/24, 08/09/2022წ.)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა სკოლის მიერ შემუშავებული საქმის წარმოების წესის შესაბამისად. არნიშნული დოკუმენტაციის აღრიცხვისათვის არის შემდეგი ჟურნელები: საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, გარდა საკადრო ბრძანებების, თანამშრომელთა ცნობებისა და შრომითი ხელშეკრულებებისა და მათი შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხებისა. საკადრო ბრძანებების თანამშრომელთა ცნობებისა და შრომითი ხელშეკრულებების ადმინისტრირების საკითხებზე პასუხიმგებელია ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების ხელმძღვანელი. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ საქმისწარმოების ჟურნალებს, ,,შემთხვევითობის პრინციპით“ შეარჩიეს და შეაფასეს ისინი. სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესის მიხედვით მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი (ბრძანება N33, 08 ოქტომბერი); • სარეგისტრაციო ჟურნალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 69 თანამშრომელი. მათ შორის 50 მასწავლებლი. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექტორი, აკადემიური დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების ხელმძღვანელი კომუნიკაციების მენეჯერი, ფინანსური დირექტორს, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, ექიმი, საქმისწარმოებელი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, სოციალური მედიის მენეჯერი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მენეჯერი, სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი, ლოჯისტიკის მენეჯერი, საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელი, ლიდერობისა და არაფორმალური განვითარების პროექტების მენეჯერი, კლუბის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელმძღვანელი, ინოვაციური და არაფორმალური განათლების მიმართულების ხელმძღვანელი. სკოლას სრუქტურის შესაბამისად შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამდებობრივი ინსტრუქციები; • სკოლის სტრუქტურა; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**51**
მაძიებელი/მოწვეული	**4/7**
უსტატუსო	**2**
უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	**36**
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე	**2**
მენტორის სტატუსის მქონე	**0**
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**51**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესის შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. კონკურსს ატარებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერთიფიკატი, მასწავლებლის CV, ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეები • შინაგანაწესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანება. • მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია მიღება-გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. აქვეა ასახული თანამშრომელთა მუშაობის დრო, პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება, (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.) როგორც შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, სკოლა სრულად ეყრდნობა კანონმდებლობას და შინაგანაწესის რეგულაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები; • შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები დანომრილია, აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ხელშეკრულების პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესში დანერგილაია თანამშრომელთა „360 გრადუსიანი შეფასების“ მოდელი, რომელსაც მართავს HR და ორგანიზაციული განვითარების რგოლი. ამ შეფასების სისტემის მეთოდი გულისხმობს თანამშრომლის კომპეტენტურობის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ეს პროცესი ორგანიზაციაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს დეტალური უკუკავშირი თავისი საქმიანობის შესახებ ხელმძღვანელებისაგან, კოლეგებისაგან, დაქვემდებარებული პირებისაგან და „მომხმარებლებისაგან.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლისთვის ცნობილი ხდება, თუ როგორ აღიქვამენ მის საქმიანობასა და ქმედებებს სხვა პირები, ასევე, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ის ასპექტები, რომელთა გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება დამატებითი ტრენინგების თუ სხვა აქტივობების გავლა, განვითარება ან დახმარების მიღება. შეფასების მიზნებია: არსებული პრობლემების განსაზღვრა; 1. თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა; 2. მიღწევების აღრიცხვა და დაფასება; 3. მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება; 4. იმ სფეროების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება - ტრენინგები თუ სხვა აქტივობები; 5. თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება; 6. პერსონალის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების (ხელფასის ზრდა, დაწინაურება, დისციპლინური ზომები, ბონუსები და სხვ.) 7. ადმინისტრაციას და თანამშრომელს შორის კავშირის დამყარების გაადვილება; სკოლაში თანაბარი პრინციპით ფასდება როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალი. გამოიყენება სკოლის სტრუქტურის წრიული პრინციპი. თითოეული თანამშრომელი ფასდება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, ხელმძღვანელი აფასებს როგორც მის ზემდგომს, ამავდროულად მის დაქვემდებარებულებსაც. აკადემიური პერსონალის - პედაგოგის შემთხვევაში შემფასებელთა ნუსხას ემატება მესამე ფიგურანტი: მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეთა მშობლები, მე-7 კლასიდან მოსწავლეები. მიღებული შედეგების საფუძველზე, გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: • დაწინაურება; • ხელფასის მატება; • ერთჯერადი წახალისება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• განვითარების გეგმის შედგენა, როგორც კომპეტენციის გაუმჯობესების საშუალება; • თანამშრომლის კარიერული განვითარების შესაძლებლობა, სკოლის საჭიროების გათვალისწინებით. მასწავლებელთა შორის ურთიერთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების, წახალისებისა და უწყვეტი პროფესიული ზრდისათვის ეწყობა მასწავლებელთათვის ტრენინგები, ურთიერთშეფასებისა და ურთიერთსწავლებისათვის- სამოდელო გაკვეთილები, ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივი კათედრების ერთობლივი ღონისძიებები, ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლა მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე, შესაბამისად ხშირად უფინანსებს კვალიფიკაციის კურსებს და ტრენინგებს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე უცხოეთში. სკოლა ხშირად იწვევს საგნობრივ ტრენერებსა და კურიკულუმის ექსპერტებს სკოლაში პედაგოგთათვის ტრენინგების ჩატარების მიზნით. მიმდინარეობს თითოეული თანამშრომლის მიერ გავლილი ტრენინგების აღრიცხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის თანამშრომელთა „360 გრადუსიანი შეფასების“ მოდელი; • კათედრების პორტფოლიოები; • პედაგოგთა ელექტრონული პორტფოლიო(ნიმუშები); • პედაგოგთა 360 გრადუსიანი შეფასების კითხვარები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მმართველი გუნდის განმარტებით, სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ სკოლაში შექმნილი კლიმატი და კულტურა არის ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ წარმატებას ან წარუმატებლობას. ამიტომაც სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას ღირებულებების, ტრადიციების, ნორმების, შეხედულებების, ქცევის, ურთიერთდამოკიდებულების ისეთ სისტემა, რომელიც ხელს შუწყოს დადებითი სასკოლო კლიმატის, „ოჯახური კულტურის“ ჩამოყალიბებას, სადაც სკოლის თითოეული თანამშრომელი და მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, თავად ქმნის ურთიერთპატივისცემის, ანგარიშვალდებულების და თანამშრომლობით გარემოს და ამით აძლიერებს სკოლის პოზიტიურ კულტურას. სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის მოსწავლეები. მათი მაქსიმალური ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის სკოლა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა მოსწავლეებმა ითანამშრომლონ, იყვნენ ტოლერანტები და აძლიერებდნენ ერთმანეთს. სკოლაში შექმნილია მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს უზრუნველყონ აკადემიური შედეგების გაუმჯობესება და პროგრესი. იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი დახმარება გათვალისწინებულია დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობები. სკოლას ემსახურება ორი კვალიფიციური ფსიქოლოგი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეთათვის საუკეთესო გარემოს ფორმირების პროცესში. ისინი დახმარებას უწევენ მოსწავლეებს რთული ქცევის მართვის პროცესებში, ეხმარებიან სკოლის გარემოსთან ადაპტაციაში, უწევენ კონსულტაციებს დამრიგებლებსა და მასწავლებლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგნობრივი წრეები და კლუბები. სკოლას განსაკუთრებული მიღწევები აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლაში ფუნქციონირებს: • ბიზნესგანათლების კლუბი, • მედიაკლუბი, • დებატლუბი, • კითხვის კლუბი, • STEM კლუბი, • მეცნიერების კლუბი, • სამაგიდო თამაშების კლუბი, • ფსიქოლოგიის კლუბი, • პროგრამირების კლუბი, • რობოტექნიკის წრე, • ცეკვის წრე. სკოლის არაფორმალური განათლების ელექტრონულ პორტფოლიოში თავმოყრილია თითოეული კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსხველი მასალები, კლუბის ხელმძღვანელის ანგარიშები, პროგრამები. აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ გვერდზე ქვეყნდება სიახლეები სკოლაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და აქტივობებზე. მაგალითად: ტოლერანტობის დღე, ინტელექტუალური საკუთრების დღე, ვიქტორინები, საახალწლო აქტივობები, ჰელოვინი, გამოფენები და სხვა. სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ხშირად აცხადებს სხვადასხვა სახის კონკურსებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს სთავაზობს დაფინანსების სხვადასხვა პაკეტებს, რაც მამოტივირებელია მოსწავლეებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის „360 გრადუსიანი შეფასების“ საფუძველზე ყოველწლიურად ხდება საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა. მათ სკოლა სთავაზობს; • დაწინაურებას; • ხელფასის მატებას; • ერთჯერადი წახალისებას; წახალისების მექანიზმები წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესში. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სასკოლო სასწავლო გეგმის, სადამრიგებლო პროგრამებისა და ანგარიშების შესწავლით, კლუბების პორტფოლიოების, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021 (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 09/11/2021, N1/29 ბრძანებით); • ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის თანამშრომელთა „360 გრადუსიანი შეფასების“ მოდელი; • სკოლის შინაგანაწესი; • თვითმმართველობის დებულება; • კლუბებისა და წრეების დებულებები; • სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება. • https://www.schoolprogress.ge/
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი
თარიღი 24. 03. 2023
გვერდების რაოდენობა 62 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.